განკარგულება:**g-37.37210831**
თარიღი:**24/03/2021**

განკარგულება N17

24 მარტი 2021 წელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 0.5%-ის მიერ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის გათვალისწინებით ,,ქალაქ ოზურგეთის გენერალური გეგმის მომზადების პროცესში“ - მოქალაქეთა ინფორმირებისა და ჩართულობის მიზნით შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის, ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მეორე ნაწილის და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 34-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 0.5%-ის მიერ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის გათვალისწინებით ,,ქალაქ ოზურგეთის გენერალური გეგმის მომზადების პროცესში“ - მოქალაქეთა ინფორმირებისა და ჩართულობის მიზნით შექმნილ დროებით სამუშაო ჯგუფს უფლებამოსილების ვადა გაუგრძელდეს 1 (ერთი) თვით.

მუხლი 2. დროებით სამუშაო ჯგუფს დაევალოს უფლებამოსილების ვადის გასვლამდე საკრებულოს წარუდგინოს გადაწყვეტილების პროექტი ან დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

მუხლი 3. დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა გაუგრძელდეს 2021 წლის 16 აპრილამდე.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 5. ეს განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი